განკარგულება:**g-87. 87230603**
თარიღი:**01/03/2023**

განკარგულება №7

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორია) მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის პირობები:

   ა) **სოფელ ახშაანში მდებარე 2237 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.10.37.316) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 370.00 (სამას სამოცდაათი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

   ბ) **სოფელ აწყურში მდებარე 6100 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.02.32.268) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით - 265.00 (ორას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

იოსები ქარუმაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM